



საქართველო ვანის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ვანი, თავისუფლების №65, ინდექსი 1900, E-mail: vanis.gamgeoba@yahoo.com ტელ. 22-25-25

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 20 10

04/01/2019

ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2019 წლის სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“, „ე.ვ“ პუნქტების, მე-16 მუხლის და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2019 წლის სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ალექსანდრე გოგორიშვილი - მუნიციპალიტეტის მერი, ჯგუფის ხელმძღვანელი;
- გონერი მეფარიშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ჯგუფის წევრი;
- ალექსანდრე ლილუაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი;
- დავით გაბუნია - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;
- მამუკა ნამიჭეიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;
- ივანე მამფორია - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;
- მარინა ღვინიაძე - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ჯგუფის წევრი;

- ეკატერინე ნამიჭიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;


- ავთანდილ ხელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების უფროსი, ჯგუფის წევრი;

- მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ.სამტრედია, ძმები ნინუების ქ., N1).

ალექსანდრე გოგორიშვილი



მუნიციპალიტეტის მერი